№ 15 თბილისი აგვისტო 1958

ნიანგი

გამოცემის XXXVI წელი ფასი 2 მან.

ფოტომონტაჟი ნ. მალაზონიასი



გააგდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელი
ანუ საქმე № 462

დელფოს სამისნოს გზა რომ სცოდნოდა, ისაია და მოსე წინასწარმეტყველები რომ შეეწუხებინა, იქნება მაშინ ვარვარა გაბრიელიანს თავისი პირველი განცხადება სასამართლოში არც შეეტანა. მაგრამ აი, გაუწყრა არა მაღალი ღმერთი, არამედ საკუთარი მშობელი, მშობელთან ერთად შემოსწყრა ღვიძლი და: — ჩვენი რჩევის გარეშე რატომ ამოირჩიე გულის ტოლიო და დაიწყო დავა, რომელსაც შემდეგში ეწოდა სასამართლო საქმე № 462, რომელიც არ მთავრდება.

თავიდან დავიწყოთ. 1924 წელს ვარვარა გაბრიელიანი თბილისში ჩამოვიდა და ჩუღურეთის შესახვევში № 4/13 ორი ოთახი, ფართობით 36 კვადრატული მეტრი, დაიქირავა. ცოტა ხნის შემდეგ მან ჩამოსული დედა თებრონე და ღვიძლი და სირანუშაც შეიკედლა. ბინის თავდაპირველი დამქირავებელიც და ბინის ქირის გადამხდელიც ვარვარა იყო, ცხოვრობდნენ ერთად, ტკბილად, დედა და შვილები, მაგრამ ერთ დღეს, როცა ვარვარა გაბრიელიანმა ცხოვრების თანამგზავრი ამოირჩია, დედა-შვილი გაწყრნენ—როგორ, უჩვენოდ და ისიც იეზიდს გაჰყევიო. ვარვარა გაბრიელიანმა, 1934 წლის 14 აპრილს, უშველებელი არზა დასწერა და სასამართლოს ერთი პატარა რამ თხოვა—ჩემი და ჩემი ქმრის ოთახში გადაიყვანეთ, ხოლო მე კი, ჩემი ახალშექმნილი ოჯახით, ჩემს დაქირავებულ ბინაში დავრჩები და დედასაც უპატრონოდ არ დავაგდებო. სასამართლომ ვარვარას ამ გულმხურვალე თხოვნას ცივი წყალი გადაასხა.

1934 წლის 19 სექტემბერს ვარვარამ თავისი დაქირავებული ბინიდან კვლავ მოითხოვა შეკედლებული დის გასახლება.

აქ სასამართლომ უკვე კოდექსები მოიშველია და 26 კვადრატული მეტრი ოთახი ვარვარას დას სირანუშას მიაკუთვნა დედასთან ერთად, ხოლო ვარვარა, მისი ქმარი და ბავშვი 10 კვადრატულ მეტრ ოთახში დატოვა. (გაყოფაც ასეთი უნდა, აბა რა გეგონათ თქვენ?)

ასეთი მართლმსაჯულებით «დიდად კმაყოფილმა და გახარებულმა» ვარვარამ კვლავ სასამართლოს მიმართა და 26 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ოთახი მოითხოვა. ეს მოთხოვნა იმით გაამაგრა და დაასაბუთა, რომ ბინის პირველი დამქირავებელი მე ვარო, ბინის ქირას ჩემს გათხოვებამდე და ოჯახური უსიამოვნების მოხდენამდე წლების მანძილზე მე ვიხდიდიო (ასე გასინჯეთ, ამის დასამტკიცებლად ქვითრებიც კი წარმოადგინა), ჩვენ—მე, ქმარი და ბავშვი სამი სული ვართო და ასე შემდეგ. მაგრამ რა?—ჭრაფერი. ორ ადამიანს უნდა დარჩეს 26 კვ. მეტრი ფართობის მქონე ოთახი, თქვენ კი, სამ სულს 10 კვად. მეტრი ოთახი გეყოფათო,—გაისმა სასამართლო დარბაზიდან.

ამის შემდეგ საქმეში საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი ჩაერია და საქმე დაარღვია. ამ საქმის სასამართლოში მორიგმა განხილვამ ვარვარას ოჯახს 26 კვად. მეტ. ფართობის მქონე ოთახი არგუნა, დას—10 კვ. მ., დედას კი არჩევანი შესთავაზეს:—რომელ შვილთანაც გინდა იცხოვრეო.

ერთხელ კიდევ დაირღვა ეს საქმე, მაგრამ არა უკანასკნელად. ახლა ისევ ბოროტად შეტრიალდა ვარვარას ბედის ვარსკვლავი:—ისევ 10 კვ. მ. ოთახში უნდა იცხოვროთო,—უთხრეს.

საქმეში საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლო ჩაერია და სასამართლოს ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ახლა მან დაარღვია.

ხელახალ განხილვას, ბინის გაყოფის ხელახალი ვარიანტი მოჰყვა. ახლა თანაბრად გაჰყო სასამართლომ ბინის ფართობი—მოსარჩელესა და მოპასუხესაც 18—18 კვადრატული მეტრი არგუნა: ბინა გაიყოს და შუაში კედელი აშენდესო, დაადგინეს. თითქოს და ყოველგვარ დავას ბოლო მოეღო. ვარვარა გაბრიელიანმა საკუთარი ხარჯებით გამყოფი კედელი ამოაშენა, მაგრამ ამით განრისხებულმა სირანუშა გაბრიელიანმა არა მარტო კედელი დაანგრია, არამედ დას ნივთებიც დაუმტვრია და 10 კვ. მეტრ ფართობის მქონე ოთახში მიუჩინა ბინა.

სწორედ ამის გამო, ე. ი., სასამართლოს გადაწყვეტილების უპატივცემულობისათვის, სირანუშ გაბრიელიანს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლომ აქაც არ დაივიწყა ის, ვინც არც უმაღლეს სასამართლოს და არც მისი უმცროსი ძმების არა მარტო ლაპარაკს, არამედ ქაღალდზე გამოტანილ დადგენილებასა და გადაწყვეტილებას ერთ ყურში უშვებდაო, რომ იტყვიან, და სირანუშას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა იძულებითი მუშაობით შეუცვალა.

გავიდა წლები. ახლა პროკურატურამ დართო ნება გაბრიელიანს მოეყვანა სისრულეში 1939 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება, ე. ი. კვლავ აღედგინა, ან უკეთესად, გაეკეთებინა ახალი გამყოფი კედელი. ეს მოხდა 1949 წლის სექტემბერში, მაგრამ ამას პროკურატურის მხრიდანაც მოჰყვა საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და ახლა ისევ სირანუშას მიაკუთვნეს 26 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ოთახი.

სირანუშა კვლავ კედელს ეცა და მოშალა იგი.

გავიდა წლები. 1954 წლის 18 იანვარს ოქტომბრის რაიონის რაისასამართლომ გამყოფი კედლის აღდგენის შესახებ კვლავ გამოიტანა გადაწყვეტილება. მაგრამ, აბა, სირანუშასათვის სასამართლოს გადაწყვეტილება და მისი არშესრულება ახალი ხილი ხომ არ არის: «ნებას არ მოგცემთ», «არ აღგადგენინებთ», «დავანგრევ», «დავშლი». და მართლაც: ასეთი კედელი ჯერ ვერ აუშენებიათ სირანუშას შიშით.

გავიდა წლები. საქმე უმაღლეს სასამართლოში გადავიდა, სადაც ერთხელ კიდევ განიხილეს 1954 წლის 15 მარტს და გადაწყვიტეს, რომ ოქტომბრის რაიონის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩენილიყო.

გავიდა კიდევ ერთი წელი. ახლა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ზედამხედველობის წესით დაწერა პროტესტი, რომ უმაღლეს სასამართლომ ძალაში დატოვა ისეთი გადაწყვეტილება (ვერ გაბედა ეთქვა, რომ არა სწორი), რომელიც უნდა გაუქმდესო. თურმე ნუ იტყვით, უმაღლეს სასამართლოს იმ სამი წევრიდან, რომლებმაც საქმე განიხილეს, ერთს ხელის მოწერა დავიწყებია, შემდგომში კი მის მაგივრად უმაღლეს სასამართლოს სხვა წევრს მოუწერია ხელი, ჰოდა, «აი მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი!» და საქმე უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა კვლავ დაარღვია. შეიკრიბა უმაღლეს სასამართლოს კოლეგია სხვა შემადგენლობით, რომელმაც ყურად იღო, რომ მათ ერთ კოლეგას ხელი არ მოუწერია დოკუმენტზე, სხვა მიზეზებიც გამოიძებნა და საქმე დაარღვიეს. ხომ გაგიგონიათ, «მექოთნე ქოთანს ყურს საიდანაც უნდა, იქიდან შეაბამსო».

ახლა ისევ რაიონის სასამართლოში დაინიშნა დარღვეული საქმის განხილვა.—ვარვარა გაბრიელიანო, სარჩელზე უარი გეთქვა,—მოახსენეს ვარვარა გაბრიელიანს.

ვარვარამ საქმე კვლავ უმაღლეს სასამართლოში გადაიტანა.—სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია და უარი უნდა დარჩეს ძალაში,—მოახსენეს უმდაბლესად უმაღლეს სასამართლოში.

აქ, ჩვენის აზრით, მთავარი ის კი არ არის, რომელ დას ეკუთვნის პატარა ოთახი და რომელს დიდი, არამედ, თუ როგორ ხდება, რომ ასეთი უბრალო და დღესავით ნათელი საქმე მთელი მეოთხედი საუკუნე ჭიანურდება ჩვენს სასამართლო ორგანოებში.



ე. მეხი

ნახ. გ. ფირცხალავასი

მირონის გოგო

მირონის გოგო გახლდათ, პრიმა.

— განათლება?

— ლაპარაკი არ უნდა.

მარტო მისი ერთი გამოჩენა ღირდა ერთ რამედ: მოგოგმანდებოდა თუ არა, პირდაღებული მისჩერებოდა ყველა: დირექტორიც, მოადგილეც და განყოფილების გამგეებიც. (დანარჩენებს პირის დაღების უფლება ვერ მიართვეს: ვინმეს ხომ უნდა ემუშავა!).

— როგორ ეცვა?

— ინტერნაციონალურად: ფრანგული, ჩეხური, ინგლისური, ჩინური.

— თბილისური?

— თბილისურს მისი ფეხი არ ჩაუდიოდა.

— რითი ერთობოდა?

— თეატრებით. (სხვათა შორის, ყველა თეატრის ყველა მაყურებელი მისი მაყურებელი იყო).

— რატომ არ გათხოვდა?

— კითხეთ დედამისს:—ჩემი სიძე, დადეშქელიანი თუ არა, ამილახვარი მაინც უნდა იყოსო...

— სხვები?

— სხვებმა ნერწყვი ყლაპონო. (ღვინო მაინც ეთქვა, თორემ ამდენი ნერწყვის ყლაპვას რა ყელი გაუძლებს).

... დიპლომატი ან მინისტრი...

— მინისტრის მოადგილე არაო?

— არა, თუ შნო და მარიფათი აქვთ, რაღა მოადგილეები არიან და არა მინისტრებიო.

... მაღალი უნდა იყოსო, ყურის ძირში ხალი უნდა ჰქონდეს და ხალის ცენტრში ღინღლიო... ბინა ისეთი,—უბელო ცხენი რომ გაჰენდებაო, მამა—ცნობილი, დედაც—ასევე, და-ძმები—ცარიელი კოლოფები (რა თქმა უნდა, ჭკუის). ერთი სიტყვით, სრული კომპლექტი.

— მერე ასეთი გამოჩნდა ვინმე?

— წარმოიდგინეთ, რომ თითქმის გამოჩნდა. არც მინისტრი იყო და არც დადეშქელიანი, მაგრამ დიპლომატი იყო და ამილახვარი, მამაც ცნობილი ყავდა და დედაც, და-ძმები ჭკუის კოლოფები (ცხადია, ცარიელი), გიშერივით ულვაშები ჰქონდა და ყურის ძირში ხალი.

გამოეჭიმა სასიდედროს სასიძო—ტექნიკის ეს უკანასკნელი სიტყვა, ახედ-დახედა სასიდედრომ, კოჭებში დაეტყო, რომ მოეწონა, მოეწონა...მაგრამ რატომღაც ერთბაშად შეკრა კოპი: სასიძოს ყურის ძირში ხალი ჰქონდა, ღინღლიკი არა... და აი ამ უღინღლობისათვის ტკიცა უარი...

მაინც მაისის ვარდივით ჰყვაოდა მირონის გოგო და მოზღვავდნენ სასიძოები, მაგრამ, თუ დადეშქელიანი იყო ვინმე, მინისტრი ვერ იყო, ვინც დაბალი იყო,—«დაგვანჯულიაო», ვინც მაღალი, — „აყლაყუდააო" და ვერა და ვერ მოინახა სასიძო.

— დედა, შენ რომ ეძებ, ძეხორციელი არ იქნება ისეთი.

— მე გემოვნებას მიქებენ და ჩემი გემოვნების სიძე მინდა.

— ცოტა ნაკლებს დაჯერდი, ადამიანო, თორემ ჩაგაბერდი ხელში.

— რამ დაგაბერა გუშინდელი ღლაპი! (ამ დროისათვის ეს «გუშინდელი ღლაპი» სულ რაღაცა სამი ათეული წლის იყო უკვე).

გადაისინჯა არსებული, ანუ კინეტიკური და შესაძლო, ანუ პოტენციალური სასიძოები, მაგრამ, როგორღაც, თხა თხაზე ნაკლები აღმოჩნდა ყველა... იფიქრეს, იფიქრეს და ისევ ამილახვარზე მიდგა ჯერი: მისი დაწუნების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ამასობაში იქნება ღინღლიც ამოუვიდა,—არადა, უღინღლობა როგორმე ავიტანოთო.

მაგრამ ამილახვარს, რაკი არ ეკუთვნოდა ნერწყვიყლაპიების კატეგორიას, ბედნიერი ოჯახი შეექმნა.

ერთხანს იმედი ჰქონდათ: იქნება უკმაყოფილება მოუვიდეს ცოლთან, რაც საკმაოდ კანონზომიერი მოვლენაა და ხალიანი მზერა ჩვენსკენ მოაპყროსო, მაგრამ ეს მოლოდინიც ამაო გამოდგა.

დაიწყო დათმობა.

ამილახვრის ნაცვლად—ამირეჯიბი, დადეშქელიანის ნაცვლად—ნაკაშიძე, მინისტრის ნაცვლად—ტრესტის მმართველი, დიპლომატის ნაცვლად—აგრონომი...

გაგიგონია! არაფერი გამოვიდა!

ისევ წავიდა დათმობა:

ნაკაშიძის ნაცვლად—ბზიკაძე, ამირეჯიბის ნაცვლად—ბლიაძე, ტრესტის მმართველის ნაცვლად—სკოლის დირექტორი, აგრონომის ნაცვლად—ფოსტის გამგე.

არც. ახლა გამოვიდა არაფერი.

მირონის გოგოს, ახლაც, მოგოგმანდება თუ არა, პირდაღებული მისჩერებია ზოგი, მაგრამ დირექტორი, მოადგილე და განყოფილების გამგეები მისთვის არა სცდებიან და არცა სცდებიან:

იგი წავიდა და სხვა მოვიდა ტურფა საბაღნაროს.

მ. ძარჩავა



ნახ. ზ. ლეონავანი

— ამ მომლერალმა ამას წინათ რესტორანში ჩხუბი ატეხა და დაიპატიმრეს.
— მერე?
— ეკვსი თვის იძულებითი სიმღერა მიუსაჯეს.

ბავშვნი სანაცვლ იცითო, რომ

1. თბილისის ზღვაზე მენავეობაში ნავით სეირნობა, ხელისგულებზე წყლულებიანენი, 15 წუთი ასე წვალება, შერე ამ თხუთმეტი წუთს, თუ თან საკუთარი საათი არ გაქვს, ერთ საათიანგარეში 10 მანეთი ღირს.

2. თბილისის რესტორნების ნრავლესობაში, დიდი გაუთლელი უნდა იყო, რომ ტარა გათლილი ჭიქა მოთხოვო ღვინის დასალევად.

3. თბილისის მილიციის მოვალეობას სრულებითაც არ წარმოადგენს დილის 6 საათამ ბლავლეტული მაწონ-მალაკოს, ყვავილების მიწისა და სამოვარნი პესოკის გაფრთხილება ხალხს ნუ ალვიძოო, პირიქით, ეს მოსახლეობის მოვალეობაა და ყველ მოკალაქე ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ამ ამბავს, რათა ბლავილმა მილიცია არ გააღვიძოს.

4. თბილისის ზღვაზე თუ ცუნა არ იცი, დახრჩობა სასტიკად აკრძალულია და ამიტომ წყალში საკუთარი რეზინის ნავებით, საბურავებით, ბალიშებითა და რეოლებით შესვლა არ შეიძლება.

ისე რამდენჯერაც გინდა და როგორც გინდა დაიხრჩე თავი ოღონდ ნაპირიდან არა უარეს 25 მეტრისა.

რატომ?

ნახ. გ. ფირცხალავანი

— ძლივს არ დაუკლო სიცხემ! დილას 40° ჰქონდა, ახლა 37 აქვს.

— თქვენ საყლაპავი მილის ანთება გაქვთ.
— რასაც მე ამ ჩაციებულ ღვინოს ვსვამ, რა ვიცი, როგორ არ ჩამიქრა!

ნახ. ე. ბერძენიშვილისა.

მე სულ ერთხელ დავესწარი დისერტაციის დაცვას მედიცინის სფეროში. დისერტანტი პედიატრი იყო და სადისერტაციო თემაც ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ჰქონდა გაწლილი. შემდეგ ეს დისერტაცია ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ეს დღე წარუშლელი იქნება ჩემს ცხოვრებაში, როგორც წვრილი ცოლ-შვილის პატრონი მამის თვალის ახელის დღე. ამ დღეს მოსმენილმა მოსაზრებებმა მოუპოვეს დამსწრე საზოგადოებას ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გასაღები, ხოლო დისერტანტს—სამეცნიერო ხარისხი. კეთილრაზე ქადაგად დავარდნილი დისერტანტი გაბრუებულ საზოგადოებას შემდეგ მეცნიერულ ტრაქტატებს უღაღადებდა:

ბავშვი ადამიანია მოზარდ კატეგორიას ეკუთვნის, ესე იგი, ბავშვი იზრდება და, რაც ღღეები გადის, ეს მომენტი უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება. რა არის საჭირო ამისათვის, რომ ბავშვი ნორმალურად გაიზარდოს?

1. სასურველია ახალშობილს დედამ აკამოს ძუძუ, რძე ძალიან უხდება ბავშვებს.

2. არავითარ შემთხვევაში ბავშვს თუ სიცხე არა აქვს არ უნდა დავადოთ შუბლზე ყინული.

3. თუ ბავშვს ყვავილის, ბუცლის ტიფის, ქუნთრუშის, დიზენტერიის, ხეველაბატონების, წითელი ქარების, ფილტვების ანთების, საყმაწვილოს, ტვინის ანთების, ინფილტრატის ან ავთვისებიანი სიმსივნის ნიშნები აქვს, გამოუძახეთ ექიმს.

4. არასდროს ექიმის დაუკითხავად ბავშვს დარიშხანი არ დალევინოთ.

5. ზამთარში მძინარე ბავშვს დაახურეთ სახანი და არ დატოვოთ ფანჯარა ღიად. ზაფხულში პირიქით.

6. თუ ბავშვს სპირს ყბაყურა, არ მოარტყათ ყბაში და ყური არ აუწოთ.

7. სასარგებლოა ბავშვისათვის პირისა და ტანის ბანა, აგრეთვე კბილების ხეხვა. (ჯანმრთელობის დაცვის ეს მეთოდი უფროსებისთვისაც არის რეკომენდებული).

შემდეგში დისერტანტმა ბევრი ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა ცუდი შედეგი მოაქვს ბავშვის ჯანმრთელობისათვის მის ფეხშიშველა სიარულს თოვლში, ინფექციური ავადმყოფობით შეპყრობილი ადამიანის ლოგინში წოლას, ქლიავის, ჭერამის კურკების და ნემსის გადაყლაპვას, პაპიროსის სისტემატურ წევას, მდუღარეს გადასხმას და სხვა.

დასასრულ სიტყვა აიღო ოპონენტმა. მან თავიანი მოკლე სიტყვა ასე დაამთავრა: ეს ზრდა, როგორც სახარება, ისე უნდა იღოს ყველა ოჯახში.

ბშობლები, იხელმძღვანელეთ ამ ნიჭიერი, ორიგინალური დისერტაციით, ნუ არონინებთ თოვლში ფეხშიშველა, ნუ გადაყლაპავთ ნემსს და ნუ გადასხამთ მდუღარეს თქვენს შვილებს,—შეგვეხვეწა ბოლოს იგი და თვალცრემლიანმა გადაკოცნა დისერტანტი.

ამ დღეს დაიწყო ახალი ერა ჩემი ბავშვის ცხოვრებაში. თითოეული მისი მოძრაობა, სუნთქვა და გაფაჩუნება მკაცრი კონტროლის ქვეშ იქნა დაყენებული და აი ერთ დღეს თემური ეზოდან ამოვიდა. ლოყები შეჰფაკლოდა, მძიმედ სუნთქავდა.

— თერმომეტრი! — ვთქვი მე. თემურს თერმომეტრი გაუკეთეს, გაკეთება ასე არ უნდაო, თქვა თერმომეტრმა და ხუთი წუთის შემდეგ 37,5 გრადუსზე ავარდა.

— მოგიკვდა ბებია, — თქვა ჩემმა ცოლმა.

— დაიფსო თვალები დედაშენს! — თქვა ბებიამ.

— ღმერთო, თუ სასიკეთილოა, მამამისი მოჭკალი ადრე, — თქვა ჩემმა ცოლისდამ.

— გახადეთ! — ვთქვი მე. არ მეძინებაო, უნდოდა ეთქვა თემურის. მაგრამ ვინ აცადა, გაეფუტკვენით, გავპუტეთ, გავატარეთ და ლოგინში შევაგორეთ.

იმ ღამით თემურის მეტს არავის გვძინებია. თერმომეტრი 37,5 და 37,4 გრადუსს ზორის თამაშობდა.

— ლოყაზე რომ დავდებ ხელს, არ იგრძნობა სიცხე, — შეიჩურჩულა დედამ.

— შინაგანი წვა აქვს, — ვთქვი მე.

— ოყნა გავუკეთოთო, — თქვა მეზობელმა. დილამდე ვურეცხავდით კუჭს გაკავებულ თემურს.

საღამოს გამოძახებული ექიმი ქუდმოგლეჯილი მოვარდა დილას. გაზომა სიცხე. — ოცდაჭვიდმეტი და ხუთია, — ამოვიგმინეთ ერთად.

— დედა, გამიშვი რა ეზოში, ვითამაშებს, — თქვა თემურმა.

— ბოდვას! — შეიცადა დედამ.

— გაალე, ბიჭო, პირი და თქვი ა�ა! — თხოვა ექიმმა.

— ااااا!

— დაწექი! — უბრძანა ექიმმა თემურს და მუშტი დაარტყა ზურგში.

— გტკივა?

— მტკივااა.

ექიმი ადგა, რეცეპტები გამოწერა და ამაყად თქვა:

— აქ მე ისეთი ექესი თავი წამალი გამოვწერე, ვერსად ვერ იშოვით. ამიტომ პენიცილინი გავუკეთოთო.

— არ მინდა ნემსი! — იყვირა თემურმა.

— არ გრცხვენია, ბიჭო?! შენხეკა რომ ვეიაკი, ორკერ მჭირდა ტეინის ანთება...

— ჯუტკობათ, ბატონო, ღმერთმა ყარგად გამოფოფოთ, — დალოცა დედაჩემმა.

— ბავშვს კრუპოზული პნევმონია აქვს.

— „კრუპა“ თუ ეპშება? — იკითხა დეიდამ.

— არაფერი არ აჯამოთ ჩემი ნებართვის გარეშე, — თქვა ექიმმა, 100 მანეთი ჯიბეში ჩაიდო, ხელი დაიბანა და წავიდა.

პირველ ორ ნემსზე ბავშვი გაგიჟდა, გალურჯდა, იკივლა, ბოლოს მიხედა არაფერი გამოვაო და დაგვნებდა. 4 დღე ვურტყეთ ნემსები. ის ადგილი საცერივით გავუხადეთ. თერმომეტრი კი ისევ 37,4 და 37,5-ს ზორის თამაშობდა.

— კონსილიუმი! — ვიბღავლე მე.

საღამოს 4 პროფესორი იჯდა თემურის საწოლთან.

— მიოკარდიუმის დისტროფიისთან უნდა გვქონდეს საქმე, — თქვა ერთმა.

— პნევმოკონიოზის სიმპტომებზე რას ეტყვიო, ბატონებო? — თქვა მეორემ.

— მე მაინც გრანულომატოზური ფსევდოლეკკემია მგონია, — თქვა მესამემ.

— შვილო, შვილო, — თქვა ჩემმა ცოლმა.

— თქვენს გვარში ცოფი ხომ არ ჰქონია ვინმეს? — იკითხა მეოთხემ.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო! — წამოიძახა ჩემმა ცოლმა, მაგრამ ისეთი თვალით გადახედა დედაჩემს, რომ ექიმმა ეჭვით თავი გადაიქნია.

— პროფილაქტიკისათვის გლანდები ამოვჭრათ. — დაასკვნა ბოლოს კონსილიუმმა.

გლანდების ამოჭრა! თუ იცით თქვენ რას ნიშნავს ეს! ეს ნიშნავს ხელფეხგაკოჭილ, გაკავებულ, ენაგადმოგდებულ და თავგადაგდებულ ადამიანს. რომელსაც ყელს სჭრიან და ეუბნებიან ნუ ეკშინიაო.

მაგრამ რას იზამ, მოგეხსენებათ, გლანდები ყველაფერზე ცუდად მოქმედებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, თვით გლანდებზეც კი, და ყელგამობდღვნილ თემურს ერთი კვირა ნაყინს ვატენიდით პირში. თერმომეტრი კვლავ 37.4-სა და 37,5-ს ზორის თამაშობდა.

ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა თემურის სიცხე, რომ ავად მე თვითონ არ გავმხდარიყავი.

გავიარეს თერმომეტრი. 37,5 გრადუსი. დავეკვლეთ, გავუკეთე თერმომეტრი დედაჩემს — 37,5, ჩემს ცოლს — 37,5, ცოლისდას - 37,5, თემურის—37,5.

— ვაი თქვენს პატრონს უბედურს, გაფუტებულ თერმომეტრს მოაკლევენეთ ბავშვი?! — შეგვიცხადა დედაჩემმა და ლოგინად მივარდნილი თემურისათვის გამზადებული ოყნა გვერდზე გადდო.

კიდევ გაგიგრძელებდით ამბავს, მაგრამ ერთი ჩემი ნაცნობი დღეს სამსაათიან დისერტაციას იცავს გაფუტებული თერმომეტრის ბმარების შესახებ და მეშინია არ დამაგვიანდეს. მეჩქარება

ჯაბა დუმბაია

— თქვენი პიესის გმირი ადრე უნდა კვდებოდეს,—შენიშნა რედაქტორმა ახალგაზრდა მწერალს.

— ამაზე ადვილი რაა, პატივცემულო რედაქტორო,—დღესვე მოვკლავ.

— : —

— ნეტავი შენ, ასე ჩქარა რომ იზრდები,—ეუბნებოდა ერთი ბიჭი მეორეს.

— სულაც არ მინდა გაზრდა.

— რატომ?

— ჩემს უფროს ძმას მამაჩემი წარამარა ეუბნება:—რაც იზრდები, ვირდებიო.

— : —

— როგორ გგონია, მოაწყობ ამ ბავშვს უმაღლესში?—ჰკითხა მეუღლემ ქმარს, როდესაც საპროტექციოდ ძლვენით მოსული მამა-შვილი ოთახიდან გავიდნენ.

— მე არა, მამამისს ჰგონია.—უპასუხა ქმარმა და მშრალად მოხარშულ ქათამს ბარკალი აახლიჩა.

ლია ჯავჯავაძე

— ალო! ვახილ ვახილის-ძეს სთხოვეთ!
— სახლში არ არის.
— სამსახურში წავიდა?
— არა, საქმეზე.

დიალოგი ფრამვაიში

ქ ა ლ ი —შემდეგ გაჩერებაზე ჩადიხართ?
ვ ა ჟ ი —თქვენ რა, გინდათ რომ ჩავიდე?
ქ ა ლ ი —ჩემთვის სულ ერთია.
ვ ა ჟ ი —აბა რალას მეკითხებით?

იაკობ ოსტროვსკი

გრიპის საწინააღმდეგო საშუალება

ერთი კაცი საგანგებოდ დაიარებოდა ქალაქში, თან ჩანთა დაჰქონდა. მოვიდოდა ფარდულთან, წყალს დალევდა და ჭიქას ჩანთაში აგდებდა.

— რას შვრები, მოქალაქე?—შეამჩნია ბოლოს ერთმა გამყიდველმა.

— ვირუსული გრიპი მჭირს და ჩემი ნაპირალით სხვამ როგორ უნდა დალიოს.—მიუგო მან.

ორი ქუჩდი

ერთი ყასაბი თავგამოდებით სცემდა ძაღლს. საბრალო ცხოველი გულსაკლავად წკავწკავებდა.

— რატომ სცემ, ადამიანო, რა დაგიშავა?—ჰკითხა მუშტარმა.

— მეტის ღირსია. ხორცი მომპარა მაგ მამაძაღლმა.

— სწორი ხარ, ძმაო, ხორცის ქურდი მეტის ღირსია.—თქვა მუშტარმა, და ყავარჯენი, რომელიც ხელში ეჭირა, ყასაბს თავში უთავაზა.

პროფესიული რჩევა

ყელყურცხვირის ექიმთან შევიდა პაციენტი და ავადმყოფობის მიზეზი მოახსენა.

— ყლაპვას მიშლის სასტიკად, ექიმო, მიშველეთ რამე.

— ჩუმად გადაპკარი ხოლმე,— მიუგო ექიმმა.

გიგა მახვილაძე

ზიარი ჰურჰელი მოქეიფეთა გაგებით.

ნახ. გ. ფირცხალავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქელი

ფაბიანი ქალაქში მისი გულისათვის არ ჩამოსულა. იგი მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როდესაც საბჭოსაკენ გაემართა.

რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ.

ფაბიანმა ნაბიჯს აუჩქარა, ევა ხომ უკვე დიდი ხანია გათხოვდა მემწვანილის ვაჟზე.

— მოდი, დავურეკავ,—გაიფიქრა ფაბიანმა,—თუ მისი მეუღლე შემხვდა, ყურმილს დავდებ.—ავტომატის ჯიხურში შევიდა. იგი ღელავდა.

— დიახ!

— ევა?

— დიახ. ვინ ლაპარაკობს?

— ვერ მიცანი? ეს მე ვარ—ფაბიანი!

— ფაბიანი?

— დიახ!

მოკლე, გაოცების შეძახილი და ფაბიანმა ამოისუნთქა. აქამდე ჯერ კიდევ ეჭვობდა, ის იყო თუ არა ნამდვილად.

— ფაბიან!

— ევა!

— როგორ გაჩნდი აქ? როგორ ხარ?

— გმადლობ—საქმეები, ხომ იცი. შენ რას აკეთებ?

— ღმერთო ჩემო, რა უნდა გავაკეთო!..

ლაპარაკი არ ეწყობოდა. ფაბიანი შეეცადა რამე ეთქვა.

— ევა, არ შეიძლება ერთხელ მაინც შევხვდეთ? თუგინდ ნახევარი საათით?—ჰკითხა ფაბიანმა,—იქნებ პატარა კაფეში, ბაზართან?!

ევა შეყოყმანდა.

— კარგი.—უთხრა მან ბოლოს.—როდის?

— ერთ საათში.

როდესაც დანიშნულ დროს ორი წუთი გადასცდა, ფაბიანი კაფესაკენ გაემართა. და... დაინახა ის. ევა ფანჯარასთან იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა. ფაბიანი შეკრთა. უნებურად უკან დაიხია. ეს რას ნიშნავს? ნუთუ ეს ის არის?

გასაოცრად დამგვანებოდა ევა თავის დედას—ფაბიანის მეხსიერებაში გაიელვა წარმოსადეგმა ქალმა, რომელიც კინოში ვერ დადიოდა, რადგან სკამები ძალზე ვიწრო იყო მისთვის—და ახლა, იმ ქალის განსახიერება იჯდა აქ, ნაცვლად ტანადი, კოპწია, ნატიფი ფეხების მქონე ევასი. ფაბიანი გაშეშებული იდგა ერთ ადგილზე. იგი სიამოვნებით წავიდოდა, მაგრამ დახეთ უბედურებას. ევა წამოდგა და მისკენ გამოემართა. რატომ დავურეკე, გაიფიქრა ფაბიანმა. დაე, ყოფილიყო წარსული მიძინებული.

ევამ ისე ჩაუარა, არც კი შეუხედია მისთვის და ავტომატის ჯიხურში შევიდა.

კარები ღია იყო. ევა ლაპარაკობდა. მისი ხმა თითქმის არ გამოცვლილიყო.

«...წარმოიდგინე, ინგა, და მეც, მოვედი, ისიც მოსულა. მე ისე მოვიქეცი, თითქოს არ დამინახავს... იცი, რატომ? ინგა, წარსულს ვერ დააბრუნებ. მაგრამ, რომ შეგახედა, როგორ გამოცვლილა..» მან ჩაიხითხითა. ფაბიანს გააჟრჟოლა... «საშინლად, გენაცვალე. მე იგი შენთვის ასეთი არ აღმიწერია... ცხოველს დამსგავსებია, გამელოტებულა და პაპაჩემივით დანაოჭებია სახე...»

ჩამქრალი თვალებით დაუშტერდა ფაბიანი გარდერობის სარკეში თავის ორეულს. საშინელებაა.

— «არა, არავითარ შემთხვევაში», ესმოდა მას ევას ხმა. «მე ხალხს სალაპარაკოს ვერ მივცემ. რა უნდა ვქნა? აქ ვიქნები, ვიდრე ის არ წავა...»

და ფაბიანიც წავიდა.

თარგმანი გერმანულიდან **იზოლდა ლეფავასი**

ოგოგან, ოოგ...

● სადგურ მელაანში არსებულ რკინიგზის საპროდუქტო ფარდულში მუშაობს კაცი, გვარად გოდერიძე, რომელიც თავის სამუშაოს კარგად ათავსებს მტვირთაობასთანო. იმასაც დასძენენ რომ, ბარგის მიღებასა და გაგზავნისათვის საჭიროა აწონვა და ზედაც შავი საღებავით მისამართის დაწერა, რაც, რა თქმა უნდა, გოდერიძის აზრით, გასამრჯელოს მოითხოვს. მოდი და ამას ხალტურა უწოდე. მაშ ხელები რომ მტვერსა და საღებავში დაესვრება, მერე იმ ხელებით პროდუქტს რომ გაყიდის, როგორ გგონიათ, დასაბანად საპონი და წყალი არ დასჭირდება? მერე საპონს უფასოდ ვინ მისცემს? ჰოდა, ხალტურა არ ყოფილა, რაც შეეხება პროდუქტის ბინძური ხელებით გაყიდვას, არც ესაა დიდი დანაშაული, რადგან კარგი დიასახლისი უთუოდ გარეცხავს ნაყიდ პროდუქტს, ხოლო რაც არ გაირეცხება, ან არ იყიდის, ანდა გაურეცხავადაც გიახლებათ!

თურმე ყოფილა გამოსავალი, ესეც რომ არ იყოს, ამას ამბობენ, თორემ სინამდვილეში. ასე კი არ არის. თუ არ გჯერათ მელაანელებს ჰკითხეთ.

ბოგა

● წითელ წყაროს რაიონის სოფელი ზემო მაჩხაანი ძველთაგანვე უწყლოდ ყოფილა. ალბათ სიმღერაც იმიტომ შეიქმნა: „მაჩხაანზე ჩამოვიარე წყალი იყო მეტად ძვირიო“. თურმე მაჩხაანელები წყურვილის მოსაკლავად ჩირსა ჭამდნენ. იმასაც კი ამბობენ, რომ ზემო მაჩხაანელებს, ბოლოს და ბოლოს, ბედმა გაუღიმა და სოფ. არბოშიკის თავიდან ამოტუმბული წყალი სოფლის ზემო ნაწილის უკვდავების წყაროდ მოევლინაო.

ზემო მაჩხაანელები ჯერ მიუჩვევიათ წყლის სმისათვის, ხოლო შემდეგ სოფლის თავკაცებს სჯა-ბაასი გაუმართავთ და გადაუწყვეტიათ თანასოფლელები უწყლოდ დაეტოვებინათ. ჰოდა, მთელი წყალი არბოშიკელებისათვის დაუთმიათ.

ალბათ იტყვის ვინმე ეს მართალი არ არის, ჭორიაო. სწორი რომ გითხრა, მეც მეეჭვება, თორემ, აბა, რომელი სოფლის თავკაცი დასტოვებს თავის სოფელს უწყლოდ! ბოლოს და ბოლოს, მარტო არბოშიკელებს ხომ არ წყურდებათ წყალი. ხოლო, თუ სოფელ მაჩხაანის ხელმძღვანელობა ქვემო ნაწილში ცხოვრობს, სადაც წყლის გასაჭირი არ არის, მაშინ კიდევ შეიძლება დაიჯეროს კაცმა.

რო-ლი

ძვირფასო ნიანგო!

ძვირფასო ნიანგო! მე წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება: მზის სინათლეზე გამოვიტანო აბაშელ კავშირგაბმულობის მუშაკთა გენიალური გამოგონება—რადიოს ახალი ტიპი, რომელსაც „რადიოტელეფონი“ ეწოდება. ამ უკანასკნელს ის უპირატესობა აქვს. რომ ერთდროულად გამოიყენება როგორც რადიო და როგორც ტელეფონი.

ახალმა გამოგონებამ პრაქტიკით დაამტკიცა თავისი უპირატესობა და ჩადგა აბაშელ მშრომელთა სამსახურში.

„სიხარულით“ ივსება აბაშელთა გული, როდესაც ტელეფონის ყურმილიდან ისმენენ ფეხბურთის მატჩის ტრანსლაციას თუ გულის დამატკბობელ ქართულ სიმღერებს...

აბაშელ მშრომელთა სახელით გთხოვ, ძვირფასო ნიანგო, ნუ დაუკარგავ კავშირგაბმულობის აბაშის რაიკანტორის მუშაკებს ამ „დიდ ღვაწლს“.

„ნიანგის“ შენიშვნა: უნდა აღვნიშნოთ, რომ რადიოტელეფონის იდეის პრიორიტეტი სრულიადაც არ ეკუთვნის აბაშელებს და რომ თბილისელები დიდი ხანია ისმენენ ტელეფონის საშუალებით არა მარტო რადიოგადაცემებს, არამედ სხვა ტელეფონის ხაზზე ქალ-ვაჟს შორის ინტიმურ საუბარსაც.

ჩემის მხრივ, გულწრფელ მადლობას მოვახსენებ აბაშის კავშირგაბმულობის მუშაკებს ასეთი კარგი საქმის დანერგვისათვის.

მ. აბაშელი

რედაქტორი—ელგუჯა მაღრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. ჰელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 15. ხელმოწ. დასაბ. 29/VII-1958 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკვ. № 846. უე 03622. ტირ. 40.000.

№ 358

ნახ. გ. იორშისა



ზოგი ჭირიც მარგებელია

ნახ. ს. შეგელმანისა

ნახ. ლ. ბერზინისა

ვიტრინაში ახალი მოდელის ფეხსაცმელი გამოჩნდა.

Dadzis

ლატვიის

სატირისა და იუმორის

ჟურნალი სტუმრად

ნიანგთან

– სად აპირებთ მუშაობის დაწყებას ინსტიტუტის თავრების შემდეგ?

– ასეთი კითხვა ჩემს საგამოცდო ბილეთში არ არის!

ნახ. ლ. ბერაინშისა

ნახ. ე. ობელინისა

— ქალბატონო, სანაპიროზე აკრძალული
იმ ტანსაცმლით სეირნობა, რომლითაც ბა
ნაობენ.

— რამდენი საწვავი გჭირდება 100 კილომეტრზე?

— ასი გრამი და ერთი ბოთლი ლუდი.

გ. ორშისა

ი, ასტრონომიის სახელმძღვანე-
რუიდე.
კარგად მოქცეულხარ, ცხოვრებას
და ჩამორჩე.



ნახ. ე. ობოლინისა

კატამ გადაირბინა.